სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

ივნისი 2018

- სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივნისში, მაისის თვესთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა;
- 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივნისში, მაისთან შედარებით, 10.6%-ით გაიზარდა;
- ივნისში, მაისთან შედარებით, 3*, 4* და 5* სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 36%-ით და გურიაში - 32.8%-ით გაიზარდა, თბილისში კი სასტუმროების ფასები მხოლოდ 0.4%-ით გაიზარდა;
- ივნისში 3* სასტუმროს საშუალო ფასმა 143 ლარი შეადგინა, 4* - 247 ლარი, 5* - 403 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის - 73 ლარი.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **143 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში - 164 ლარი, თბილისში - 153 ლარი და აჭარაში - 150 ლარი დაფიქსირდა. ივნისის თვეში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი - 89 ლარი, იმერეთი - 103 ლარი და გურია - 120 ლარი.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა ივნისში **247 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები თბილისში - 268 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 257 ლარი და კახეთში - 231 ლარი დაფიქსირდა. ივნისის თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი - 173 ლარი, იმერეთი - 197 ლარი და მცხეთა-მთიანეთი - 219 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **403 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 522 ლარი შეადგინა, კახეთში - 462 ლარი, აჭარაში - 359 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 330 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივნისის თვეში **73 ლარი** შეადგინა. ივნისში, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში ქვემო ქართლში - 148 ლარი, გურიაში - 141 ლარი და აჭარაში - 82 ლარი დაფიქსირდა. ივნისის თვეში, საოჯახო ტიპის სასტუმროებს შორის ყველაზე დაბალი საშუალო ფასები დაფიქსირდა შიდა ქართლში - 56 ლარი, იმერეთში - 59 ლარი და კახეთში - 61 ლარი.

airbnb-ის მიხედვით ბინების საშუალო ფასმა საქართველოში ივნისში $37 შეადგინა. საქართველოს 5 თვითმმართველ ქალაქს შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ბათუმში დაფიქსირდა-$51 (125 ლარი), შემდეგ მოდის თბილისი-$42 (103 ლარი), ფოთი-$41 (101 ლარი), ქუთაისი-$24 (59 ლარი) და რუსთავი-$23 (57 ლარი).

airbnb-ის მიხედვით, ივნისში, ბათუმში, თბილისში და ქუთაისში ბინების საშუალო ფასები (ბათუმი - 125 ლარი, ქუთაისი - 59 ლარი და თბილისი - 103 ლარი) ჩამორჩებოდა 3* სასტუმროების საშუალო ფასებს (ბათუმი - 152 ლარი, ქუთაისი - 104 ლარი და თბილისი - 153 ლარი).

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის ივნისში, მაისის თვესთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 29.1%-ით და გურიაში - 16.6%-ით გაიზარდა. აჭარაში და გურიაში ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა ძირითადად განპირობებულია ბათუმის, ქობულეთის და ურეკის სასტუმროთა ფასების ზრდით.

2018 წლის ივნისში, მაისის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ ორ რეგიონში: შიდა ქართლში და რაჭაში შემცირდა, შესაბამისად 8.5% და 2.3 %-ით. თბილისში სასტუმროების ფასები მხოლოდ 0.3%-ით გაიზარდა.

საქართველოს მასშტაბით, სასტუმროთა ფასების ზრდა შეიძლება დავუკავშიროთ საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდას. 2018 წლის ივნისში, მაისთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 14.9%-ით გაიზარდა, ხოლო 24 საათით და მეტი დროით (ტურისტი) საქართველოში მყოფი საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 11.4%-ით გაიზარდა[4].

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
აჭარა	29.1%	36.0%	20.2%
გურია	16.6%	32.8%	13.3%
სამცხე-ჯავახეთი	10.7%	15.0%	7.5%
კახეთი	9.1%	6.1%	9.8%
იმერეთი	1.3%	5.8%	-1.3%
მცხეთა-მთიანეთი	0.7%	0.3%	1.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.6%	0.6%	0.6%
თბილისი	0.3%	0.4%	-0.4%
ქვემო ქართლი	0.0%	0.0%	0.0%
რაჭა	-2.3%		-2.3%
შიდა ქართლი	-8.5%		-8.5%
სულ ფასების % ცვლილება	8.6%	10.6%	5.8%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის ივნისში 2018 წლის მაისის ფასებთან შედარებით

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის ივნისში, მაისთან შედარებით, 10.6%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში - 36%-ით და გურიაში - 32.8%-ით გაიზარდა. 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების კლება არც ერთ რეგიონში არ დაფიქსირებულა. თბილისში კი აღნიშნული ტიპის სასტუმროთა ფასები მხოლოდ 0.4%-ით გაიზარდა.

საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები ივნისში, მაისის თვესთან შედარებით 5.8%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროთა მსგავსად, ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და გურიაში გაიზარდა, შესაბამისად 20.2% და 13.3%-ით. აღნიშნული ტიპის სასტუმროებში, ივნისში, მაისთან შედარებით, ფასები ოთხ რეგიონში შემცირდა. ყველაზე მეტად საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები შიდა ქართლში შემცირდა - 8.5%-ით. თბილისში საოჯახო ტიპის სატუმროთა ფასები მცირედით, მხოლოდ 0.4%-ით შემცირდა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	II 2016	III 2016	IV 2016	2016	I 2017*	II 2017*	III 2017*	IV 2017 *	2017 *	I 2018*
1	489.3	559,1	493.4	1978.3	458.7	549	647.7	579.9	2235.4	534.8
2	1505	2245.1	1473.8	6360.5	1267	1730	2827	1732.1	7556.3	1463.6
3	606.3	1146.6	559.6	2721	514.4	796.2	1473.6	695.3	3479.5	659.3
4	515.4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	550.8
5	103	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9
6	0.8	12.5	35.3	56.9	16.1	31.7	30.6	11.6	90	21.9

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

4 ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს 727,385 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 399,989 ვიზიტორი გაჩერდა. 2018 წლის მაისში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 633,086-ს შეადგენდა, ხოლო მათ შორის 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 359,744 ვიზიტორი გაჩერდა.